თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 5

22. 04. 2020 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნინო ჭიჭიკოშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N3 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. სიმბოლოების გაუქმების შესახებ

   მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N3 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა განმარტა რომ ცვლილება ეხება მერიის დებულებაში ცვლილების შეტანას, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდას, რაც შესაბამისად საშტატო ნუსხაში ცვლილების განხორციელებას მოითხოვს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ცვლილებას.

გადაწყვიტეს: მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:2 სიმბოლოების გაუქმების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის ახალი სიმბოლოების დამტკიცებამ, დღის წესრიგში დააყენა თელავის მუნიციპალიტეტის დღემდე არსებული და მოქმედი სიმბლოების გაუქმების საჭიროება და წარმოადგინა შესაბამისი სამართლებრივის აქტის პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირეს კომიიის წევრებმა.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**